საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

17/02/2017 N 32/ო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36^1 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 36^3 მუხლისა და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მოხელეთა კონკურსისა და ატესტაციის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **კახაბერ გულედანი** - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;

ბ) **ნინო ფურცხვანიძე** - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე - სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი;

გ) **ეკატერინე ჯაფარიძე** - კომისიის წევრი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამმართველოს უფროსი;

დ) **ნუგზარ ჭინჭარაული** - კომისიის წევრი, ა(ა)იპ - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე;

ე) **თამარ ბაქანიძე** - კომისიის წევრი, კომისიის მდივანი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.

2. ეთხოვოს კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღება **ანა რობაქიძეს** - ა(ა)იპ -

ბავშვი და გარემოს გამგეობის წევრს, აღმზრდელ-პედაგოგს, კომისიის წევრის, დამოუკიდებელი სპეციალისტის, სტატუსით.

3. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატს (დეპარტამენტი) უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებგვერდზე.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; №6).

საფუძვლები: „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ კახაბერ გულედანის დანიშვნის შესახებ“ სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2017 წლის 11 იანვრის №14/სა ბრძანება და ა(ა)იპ - საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარის ნუგზარ ჭინჭარაულის 2017 წლის 17 იანვრის №01/01 წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის №343/01).

კახაბერ გულედანი

საკონკურსო–საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე